თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №546977

ნომერი: AR1109468

თარიღი : 14.02.2013

გაცემის თარიღი : 18.02.2013

გაცნობის თარიღი : 18.02.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოგდან ხმელნიცკი , N 42 ;

სოხუმი კიროვის ქ. N 9

დამკვეთი-განმცხადებელი

- თინათინ ყიფიანი პ/ნ 62001035095

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1109468 14.02.2013 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01. 17.11.029.046 სამსახურის მიერ მზიდი ლითონკონსტრუქციების დამამზადებელი საამქროს ასაშენებლად სამრეწველო ზონა 1–ში გაცემულია #1483 06.10.2010 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომლის საფუძველზეც შეთანხმდა პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. კორექტირებული პროექტის მშენებლობის სანებართვო მოწმობის ვადა იწურება 2013 წლის 18 თებერვალს, ახალი მოთხოვნით აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ითხოვთ იგივე ფუნქციის ობიექტის ასაშენებლად ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ ვინაიდან #1483 06.10.2010 ქალაქთმშენებლობითი პირობების საფუძველზე აშენებული შენობა–ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული და ახალი საპროექტო ობიექტის ფუნქცია იგივეა, შესაძლებელია ისარგებლოდ აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით ახალი მზიდი ლითონკონსტრუქციების დამამზადებელი საამქროს დასაპროექტებლად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge